

ახალი განთიადი

„მედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული„

„განთიად შეისმინო ხმისა ჩემისა. განთიად წარვდგე შენდა და გეჩვენო შენ..

2024 წელი 29 ნოემბერი №11 (8210) ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები №30 კასპის საარჩევნო ოლქი

“საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია”	– 30
კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა	– 1729
“ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა”	– 2204
“ევროპელი დემოკრატები”	– 79
“საქართველოს პატრიოტთა ალიანსი”	– 706
“ძლიერი საქართველო – ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!”	– 2027
საქართველოს ლეიბორისტული პარტია	– 164
“ჩვენი გაერთიანებული საქართველო”	– 15
“შეცვალე საქართველო”	– 122
“საქართველო”	– 24
თავისუფალი საქართველო	-38
ტრიბუნა	– 17
“ჩვენ”	– 10
“გახარია საქართველოსთვის”	– 1416
მემარცხენე ალიანსი	– 21
ქართველ ერთობა	– 38
“გირჩი”	– 484
“ქართული ოცნება”	– 13518

ბავშვთა გასართობი სივრცე

ქალაქ კასპში, მირიან მეფის ქუჩაზე, მრავალსართულიანი ბინების მიმდებარედ ბავშვთა გასართობი სივრცე მოეწყო.

დასრულებული პროექტი მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ საკრებულოს თავმჯდომარესთან შოთა ბეგლარაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

პროექტი მოქალაქეთა ჩართულობის და განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში შპს “მშენკომპლექსის” მიერ განხორციელდა.

წყალარინების სისტემის მოწყობა

ქალაქ კასპში 9 აპრილის ქუჩაზე წყალარინების სისტემის მოწყობა მიმდინარეობს.

სამუშაოს პროცესს კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

წყალარინების სისტემის მოწყობის შემდეგ ქუჩაზე ასფალტ-ბეტონის საფარი დაიგება, რაც ადგილობრივების გადაადგილებას კომფორტულს გახდის.

სამუშაოს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს “ქცია” ასრულებს.

ქალაქ კასპში, მიკრორაიონის დასახლებაში

ქალაქ კასპში, მიკრორაიონის დასახლებაში, ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

სამუშაო პროცესს კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე საკრებულოს თავმჯდომარესთან შოთა ბეგლარაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

მშენებელი ამჟამად არსებული მოედნის დემონტაჟს ახორციელებს. პროექტის ფარგლებში მიმდებარედ მოეწყო ბავშვთა გასართობი სივრცე.

გასულ წელს აღნიშნულ ლოკაციაზე მერიამ გარემოხმარების ფიტნესტრენაჟორებიც მოაწყო.

პროექტის დასრულების შემდეგ ადგილობრივები შეძლებენ, ერთ სივრცეში ისარგებლონ აღნიშნული ინფრასტრუქტურით.

“სოფლის მხარდაჭერის პროგრამის” ფარგლებში

კასპის მუნიციპალიტეტში 2024 წლის “სოფლის მხარდაჭერის პროგრამის” ფარგლებში გრძელდება სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაო.

სოფელ ახალციხეში, ზადიაანთკარსა და ხიდისყურში მოეწყო გარემოხმარების ფიტნეს ტრენაჟორები, რომლის შესახებაც მოსახლეობამ გადაწყვეტილება აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ შეხვედრაზე მიიღო.

სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება ხელს უწყობს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და დროის მიზნობრივად გამოყენებას

94-ე წელია, ჩვენი გაზეთი იწერს, აგროვებს, ინახავს რაიონის ისტორიას, ხარკს არ უხდის ყვითელ პრესას, ქმნის ჩვენი ცხოვრების შეულამაზებელ მატიანეს... გახდით ჩვენი მკითხველი!

მხოლოდ სამშობლოს მხარეს...

ისტორიული მეხსიერებით ცნობილია, რომ ეპოქათა მიჯნაზე დაწყებული გამოსავლის ძიების პროცესი ააქტიურებს ეროვნულ თვითმყოფადობას და სულიერ მისწრაფებებს. მაგრამ? განსწავლის ხარისხი დამოკლეს მახვილივით დაჰყურებს მომავალს.

დღეების რიგი თავისდაუნებურად უკუაგდებს ყალბს, ნათამაშებს, უგულოსა და უსრულს.

მართალი, რომელსაც მწე და მფარველი მხოლოდ ღმერთი ჰყავს, თანდაყოლილი გულუბრყვილობით ფიქრობს, რომ ყველა წინაღობას გადალახავს..

და სწორედ მნიშვნელოვან მომენტში ავიწყდება, რომ მელა-ტურათა რაოდენობა მათემატიკური პროგრესიით იზრდება ჩვენს გარშემო. ყველა თავის სარგებელს ეძებს მატერიალურსა თუ უსაგნოს, მაგრამ მაინც სარგებელს.

უნდა შევთანხმდეთ, იგავის ენას მაშინ მიმართავენ, როცა ერის ცხოვრებაში გარდამავალი ხანი იძენს წინაღობებს.

ნებისმიერ გზაგასაყარზე არსებობს იმედი საოცნებო რეალობის შექმნისა, არსებობს სიკეთისა და სამართლიანობის განცდა და სულ გვინდა, რომ არ დაგვტოვოს გარემოს ობიექტურად შეფასების უნარმა. ეს შიგნით — გონებაში, გარეთ კი სრული სიმაღლით დგება მონობისა და თავისუფლების დილემა, რომელსაც ყველა წარსულით ანუ თავისი ცხოვრების გამოცდილებით "უმკლავდება".

იყო დრო, ქვეყნები ძნელად პოულობდნენ ზღვარს ანარქიასა და თავისუფლებას შორის (დამოკლეს მახვილზე ზემოთაც მოგახსენეთ!). დღეს ნუ გაგვაღიზიანებს თუ სხვას განსხვავებული ტემპერამენტი და მსოფლმხედველობა აქვს. ეს ჩვენი დროის (თავისუფლების ეპოქის) მახასიათებელია.

მოდით, დავფიქრდეთ, ჩვენს გვერდით ხომ არ მომრავლდნენ (მსუბუქად რომ ვთქვათ) საკუთარ სიმცირეს ვერ მორეული ადამიანები, თამამად (უთამამესად!) რომ მოიაზრებენ თავს ზოგადსაკაცობრიო მოვლენად. ასეთები მზად არიან საზოგადოებამ აღიაროს ისინი, როგორც ცნება. შეიძლება ასე ჩამოყალიბებულად ვერ მოგახსენონ, მაგრამ: ქვეყნის სიკეთე მხოლოდ მათი სახლის შიგნით უნდა დატიონ, რადაც არ უნდა დაუჯდეთ - "მე" გაამდიდრონ. გახსოვთ ლუი XV-ის ცხოვრების დევიზი "ჩემს შემდეგ წარღვნაც მოსულა!" აუხდა ლუის წინასწარმეტყველება, მის ქვეყანაში შენელებული "წარღვნაა".

ფეისბუკ ეპოქა უფრო მკაფიოდ აჩენს ადამიანთა ყოფას, განსწავლულობასა თუ პირიქით უკიდეგანო უსწავლელობის შედეგს.

დღეს არ გვჭირდება მსგავსი, სარკის მაგივრად თანამედროვენი (გარკვეული ნაწილი) ინტერნეტში "იპრანჭებიან". ახალი საუკუნის პირმშო ვირტუალური რეალობა ხასიათის რენტგენით ასახავს დროსა და ინდივიდს და ამ ინდივიდთა საქმიანობას ინტერესთა პალიტრაში. და კიდევ, საზოგადო სივრცეში თუ გაგების უნარმა მიგატოვა, ნუ დაემდურები ბედს! ბრძენნი გვასწავლიან - მეხსიერება ინახავს საუკეთესოს, დროით გამოცდილს. თუ ზემოთქმულს გაიაზრებ ფსალმუნში წაკითხული — "ათასი წელი წინაშე თვალთა შენთა, უფალო ვითარცა გუშინდელი დღე" შეიძენს საჭირო მუხტს და შენს სიმშვიდეში მიხვდები რომ ჭეშმარიტად! — "უფალი არს მწე ჩემდა, არა შემეშინოს რაი მიყოს მე კაცმან?" გიორგობას გილოცავთ სამშობლო!

სოფელ წინარეხში

არმირებული ცემენტ-ბეტონის გზის საფარის მოწყობის სამუშაო

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ წინარეხში არმირებული ცემენტ-ბეტონის გზის საფარის მოწყობის სამუშაო დასრულდა.

პროექტის მიმდინარეობას კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

გზის მოწყობის სამუშაო რეგიონის განვითარების ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

პროექტის დასრულება, რომელსაც შპს "ბესკო" აწარმოებს, უზრუნველყოფს ადგილობრივების კომფორტულ გადაადგილებას.

სოფელ თეძმისხევში

პროექტს რეგიონის განვითარების ფონდი და ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს

კასპის მუნიციპალიტეტის მეფისქალაქის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ თეძმისხევში მისასვლელ გზაზე, რომლის სიგრძე 1712 მეტრია, ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა მიმდინარეობს.

სამუშაოს კასპის მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე საკრებულოს თავმჯდომარესთან შოთა ბეგლარაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

პროექტს რეგიონის განვითარების ფონდი და ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს, ხოლო სამუშაოს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "ჩაგელა" ახორციელებს.

პროექტი გარდამავალია და 2025 წელს დასრულდება. მიმდინარე სამუშაოების ფინალურ ეტაპზე უფრო თვალნათელი იქნება ჩატარებული სამუშაოს მნიშვნელობა.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში

ქალაქ კასპში თავისუფლების ქუჩა №1 - ში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში 4 სადარბაზოს რეაბილიტაციისა და წყალარინების სისტემის შეცვლის სამუშაო მიმდინარეობს.

პროექტის მიმდინარეობას მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე საკრებულოს თავმჯდომარესთან შოთა ბეგლარაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

კასპის მუნიციპალიტეტში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამა 8 წელია მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინების ინფრასტრუქტურულ საჭიროებებზე 12 სახის რეაბილიტაციას აფინანსებს.

პროგრამის მიზანია მოსახლეობის ჩართულობით, ხელი შეუწყონ მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.

მიმდინარე წელს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საჭიროებებზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან 229 000 ლარის დაფინანსებაა გამოყოფილი. აღნიშნული თანხიდან 2 ბინის სახურავის შეცვლასა და 12 სადარბაზოს რეაბილიტაციაზე 214 703 ლარის სამუშაოები განხორციელდა.

ახალი ტექნიკა - ამწე კალათი

კასპის მუნიციპალიტეტის მერიამ ახალი ტექნიკა - ამწე კალათი შეიძინა. ტექნიკა ა(ა)იპ "კასპის კეთილმოწყობას" გადაეცა. შეძენილი ტექნიკა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ა(ა)იპ "კასპის კეთილმოწყობის" გამართულ მუშაობას და შესაბამისად მოსახლეობის მომსახურეობის ხარისხის გაუმჯობესებას.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

შენდება საცურაო აუზი

კასპში დასავლეთის მხრიდან შემომავალი საავტომობილო გზა ისისაა კარიბჭის გალავანივით მაღლივ სარკინიგზო გზა-ხიდს გამოსცდება და უკან მოიტოვებს ქალაქის პირველი განაშენიანებული ზონის — მიკრორაიონისაკენ მარცხნივ მიმართულ გადასახვევს და მოადგება მეორეს, — აი, აქ, გიორგი სააკაძის ქუჩის ნუმერაციით ერთ-ერთ საწყის შენობასთან, სულაც შარშან გაყვანილი სამანქანო გზის კვეთაზე, — კასპის №4 საჯარო სკოლის ეზოს კუთხის გასწვრივ, — გავლა თუკი მოგიხდებათ, თქვენს ყურადღებას მიიქცევს ერთ მხარეზე მიწაყრილის გროვა და მეორეზე — გზისპირა უსაფრთხოების ღობე. იგი საკმაოდ ვრცელ ფართობს ზღუდავს და მგზავრიც უმალ ხვდება: — მისით გარემოცულია დიდი სამშენებლო მოედანი. ამიტომ საინტერესოს შეცნობის სურვილიც ჩნდება: — ნეტავ რა შენდება?

იქვე, ღობის შუა ნაწილში, საინფორმაციო ბანერი დგას, ფერადი ფოტოებითა და ორენოვანი წარწერით:

“ქ. კასპი, გიორგი სააკაძის ქ. №6-ში საცურაო აუზის შენობის მშენებლობა. პროექტის დაწყება-დასრულების თარიღი: 09.09.2024 – 31.12.2025. დამკვეთი: კასპის მუნიციპალიტეტის მერია. კონტრაქტორი: შპს “ართვინ ჯორჯია”. ზედამხედველობა: შპს “ჯეოექსპერტი”.

***

მშენებლობის მწარმოებელი ორგანიზაციის — “ართვინ ჯორჯიას” თავკაცი ოსმან ოსქეთი თურქია. უცნობი პიროვნებისადმი მალე კეთილად განეწყობით, როცა შეიტყობთ, რომ მას წარმომავლობით ძველი ქართული ფესვები გააჩნია და ამისი აფიშირება საქართველოში მოქმედი სახელქვეითო კოლექტივის ლოგოში შეგნებულად მიუთითებია.

არა, წლევანდელი ოქტომბრის ბოლოსწინა დღეს, კასპის აუზის მშენებლობაზე მისვლისას, ეფენდი ოსმანს პირადად არ შევხვედრივართ. სამაგიეროდ, სასაუბროდ შევხვდით და ყველა საჭირო ცნობა გულღიად მოგვაწოდა მშენებლობის მწარმოებელმა ახალგაზრდა ინჟინერმა თორნიკე შაშიაშვილმა.

კასპის აუზის მშენებლობა მისთვის სადებიუტო ობიექტი როდია. პირველი დიდი ნამდვილი გამოცდა თორნიკესათვის იყო ქ. ქუთაისის მულტიფუნქციური საგამოფენო სივრცის მოწყობის ხელმძღვანელობა. კასპში სამუშაო ვაგონის მაგიდასთან მჯდომს სიამაყეს გვრის საკუთარი ნახელავის ჩვენება, რის დასტურად ზურგსუკანა კედელზე ჩარჩოთი უკიდია ფერადი ფოტო — მშობლიური ქალაქის დღევანდელი სამშვენისის, საგამოფენო სივრცის მთავარი შენობისა... იქიდან ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრეთში მიავლინეს ძიუდოს სპორტდარბაზის მშენებლობაზე. მაგრამ, როგორც ჩანს, “ართვინ ჯორჯიას” თავკაცებმა სხვანაირად განსაჯეს და გადაწყვიტეს, რომ ქარელიდან კასპში გამოემწესებინათ უფრო მნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობის სახელმძღვანელოდ.

***

ჩვენი ქალაქის მოსახლეობის უმეტესი ნაწილისათვის (თავისთავად, ჩვენი გაზეთის პოტენციური მკითხველისათვის), უთუოდ, საინტერესო იქნება საპროექტო ტექნიკური მონაცემების, ცალკეული პარამეტრებისა და განზომილებების გაცნობა, ანუ, საცურაო აუზის “პორტრეტის” აქვე წარმოდგენა.

თუმცა, მანამდე, უშუალოდ, პროექტის შემმუშავებელი ორგანიზაციის შესახებ:

პროექტის სახელწოდება — ქ. კასპში საცურაო აუზის შენობის პროექტი;

შემუშავებულია შპს “გამა კონსალტინგის” მიერ;

საპროექტო განყოფილების უფროსი — გ. მიროტაძე;

არქიტექტორი და დამმუშავებელი — თ. სხირტლაძე;

მთავარი კონსტრუქტორი — ნ. კაზაროვა;

დამუშავების თარიღი — 2023 წელი.

ახლა კი თვითონ პროექტის შინაარსობრივი აღწერის შესახებ:

საპროექტო საცურაო აუზის შენობის გაბარიტები განისაზღვრა ქვეყანაში არსებული სამშენებლო რეგულაციების თანახმად. პროექტირებისას გათვალისწინებულია ყველა შეზღუდვის ხაზი და მიჯრის ზონა. მაქსიმალურად მოხდა სივრცეების ათვისება, გამომდინარე მოთხოვნებიდან, და, საბოლოოდ, აქედან გამომდინარე, მიღებულია საპროექტო შენობის ერთიანი კონტური.

საცურაო აუზის ცენტრალური შესასვლელი წარმოადგენს გადახურულ დეკორატიულ ნაშვერს და იქიდან იქნება შესაძლებელი ფოიეში შესვლა.

შენობაში გათვალისწინებულია შემდეგი სივრცეების მოწყობა:

ჰოლი, სარეკრეაციო სივრცე, დაცვა, სალარო, რეგისტრატურა; ორი საცურაო აუზი: დიდი — 25–16-მეტრიანი და გათვლილი 102 მაყურებლიანი ტრიბუნით, მცირე — 10-6-მეტრიანი (ე. წ. “საბავშვო”); გასახდელები საშხაპითა და სანკვანძით, ორთქლის აბანო, ექიმის კაბინეტი, მწვრთნელთა ოთახი, ადმინისტრაცია, მენეჯერის ოთახი, ინვენტარის საწყობი, კაფე, სატრენაჟორო დარბაზი, საზოგადოებრივი სანკვანძი, დამლაგებლის ოთახი.

შენობას ექნება, ასევე, მიწისქვეშა ტექნიკური სართული, სადაც განლაგდება საშუალებები საცურაო აუზის გამართული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

შენობა გადაიხურება ორსახოვანი მასალებით: ორივე საცურაო დარბაზისა — ლითონის სივრცული ფერმებით, სადაც სახურავის ფენილად გამოყენებული იქნება სენდვიჩ-პანელები, ხოლო დარჩენილი ნაწილი — ბრტყელი გადახურვით და რკინა-ბეტონის ფილაზე მოწყობილი ე. წ. რბილი სახურავის ფენილით, რომელიც შედგება ჰიდრო-თბოსაიზოლაციო მასალებისა და ქვიშა-ცემენტის მოჭიმული ნაზავით. მთლიანი ფასადი მოპირკეთდება თანამედროვე სამშენებლო მასალებით, კერძოდ: “HPl”-ის საფასადე პანელებითა და ფიბროცემენტის ფილებით.

აუზის ტერიტორიაზე მოეწყობა ავტოსადგომი (15 ავტომობილისათვის), გათვალისწინებულია სახანძრო მანქანების მისადგომი გზები. მოეწყობა შიდა საუბნო გზაც. შემოიღობება ნაწილობრივ საერთო სიგრძით 210 მეტრზე.

გათვალისწინებულია მთლიანი ტერიტორიის გამწვანების სამუშაოები (დაირგვება 40 ხე-მცენარე და 85 ბუჩქი, 2.225 კვადრატულ მეტრზე კი დაიგება ბალახის ბელტი).

აუზის შენობა სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების პირებისათვის.

ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 6.186 კვადრატულ მეტრს, განაშენიანებისა — 2.318 კვადრატულს.

და, ბოლოს, საპროექტო მონაცემების თანახმად, აღნიშნული ობიექტი წარმოადგენს მე-4 კლასის შენობა-ნაგებობას.

***

“ართვინ ჯორჯიას” მშენებლები კასპში ამა წლის სექტემბრის დასაწყისში გამოჩნდნენ და აუზის მშენებლობისათვის განკუთვნილ-განსაზღვრულ ტერიტორიაზე პირველი ბარიც დაჰკრეს.

“ბარის დაკვრა’ — ასე ითქმის მხატვრულად, ფიგურალურად. სინამდვილეში ესოდენ მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ ობიექტზე, რომლისთვისაც დამკვეთის მხრიდან 7 მილიონი ლარია გამოყოფილი, რაღა დროს ბარ-ნიჩაბი და წერაქვია. ესენი, აუზის ამგებმომწყობნი, საექსკავატორო ტექნიკით გამოჩნდნენ, ადგილზე ძველი შენობების დემონტაჟს შეუდგნენ და მიწის ღრმა ქვაბული ამოიღეს, მალე რკინა-ბეტონის სამუშაოები გააჩაღეს, რაც ჯერაც გრძელდებოდა ოქტომბრის ბოლოსათვის, სასაძირკვლე კონტურები უკვე ნათლად ისახებოდა...

დამკვეთი ვახსენეთ, და, უნდა ითქვას, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობა და მისი შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები ხშირად სტუმრობენ მშენებლობას და ინტერესდებიან სამუშაოთა მიმდინარეობის ვადების დაცვით.

— გრაფიკის დარღვევის არანაირი გარემოება ხელს არ გვიშლის, წინსწრების კურსზე ვართ გასული, ამჟამად ყოველდღიურად 30 კვალიფიციური მშენებელი ირჯება.— სრული დამაჯერებლობით გვეუბნება სამუშაოთა ხელმძღვანელი თორნიკე შაშიაშვილი.

... სად იყო და სად არა, ვაგონ-ოთახში უცხო პიროვნება შემოვიდა. ასეთი სამუშაო ვაგონი ყველა მშენებლობის ატრიბუტია. აი, შემოსული კი გაშინაურებული მავანივით შემოგვესწრო შუაგულ საუბარში. მეტიც, ახალგაზრდა მასპინძელი უმალ შეეგება და ორიოდე მათი კითხვა-პასუხით მივხვდი, მოსული შემთხვევითი პირი არ იყო. ასეც აღმოჩნდა. იგი გამოდგა სიმურ ცაგარელი — შპს “ჯეოექსპერტის” წარმომადგენელი, ვინც ტექნიკურად ზედამხედველობს მშენებლობას და დროდადრო პირად ანგარიშს აბარებს საკუთარ ხელმძღვანელობას (ეს ნიშნავს, რომ აუზის მშენებლობის საერთო საქმის კურსში ბევრი ადამიანია და, თანაც, რამდენიმე პოზიციაზე).

— დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ აუზის მშენებლები სამუშაო დროის გრაფიკს უსწრებენ, — დადასტურების ნიშნად გვეუბნება ბატონი სიმური, — ფაქტი გნებავთ? იმაზე უკეთესი რა უნდა იყოს, როცა 2024 წლის განვლილ პერიოდში, ანუ სექტემბერ-ოქტომბერში, უკვე შესრულებულია თითქმის 2 მილიონი ლარის სამუშაოები. არადა, წელს 650 ათასი ლარის ათვისება იყო დაგეგმილი. გაისად, წლის ბოლოსათვის, კასპელებს აუცილებლად ექნებათ ახალი საცურაო აუზი!

ა. კალანდაძე

როგორ აღდგა ერისთავ-ორბელიანთა ციხე-სასახლის კარის ეკლესია

ლამისყანის კომპლექსის ანუ ერისთავ-ორბელიანთა ციხე-სასახლის კარის ეკლესია წმინდა გიორგის სახელობისაა. აგებულია XVIII ს-ში. ამ ეკლესიაში შალვა წამებულის შთამომავლები ლოცულობდნენ, ინათლებოდნენ, ჯვარს იწერდნენ...

ციხე-სასახლის პატრონის თორნიკე (იგივე ალექსანდრე) ერისთავის პაპა იესე დავითის ძე ერისთავი შვილიშვილი იყო შალვა ქსნის ერისთავისა, რომელიც ბიძინა ჩოლოყაშვილსა და ელიზბარ ერისთავთან ერთად ირანის შაჰმა აბას მეორემ 1661 წელს წამებით მოაკვლევინა — ქრისტიანობა ვერც ერთს დაათმობინა.

ეკლესიის მსახურთა შესახებ, სამწუხაროდ, მწირი ინფორმაცია გაგვაჩნია. ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტებით ვიცით, რომ ერთ ხანს სოფელში მსახურობდა მღვდელი გძელიშვილი; "1914 წელსა მარტის 17 დღესა" ლამისყანაში შედგენილ ერთ-ერთ დოკუმენტს ხელს აწერს მღვდელი გიორგი კარბელაშვილი; 1921 წელს სოფელში ცხოვრობენ ხახუტაშვილები. ოჯახის ერთ-ერთი წევრი სასულიერო პირია. სწორედ მღვდელმა ხახუტაშვილმა მონათლა წმ. გიორგის ეკლესიაში ალექსანდრე ჯავახიშვილი, ივანე ჯავახიშვილის უმცროსი ვაჟი, 1921 წლის 18 სექტემბერს. ამ დროს ეკლესიის ძარცვა უკვე დაწყებული ყოფილა. მოსანათლი ემბაზი მოეპარათ. მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანს სასახლიდან სამურაბე ტაშტი გაუტანია და პატარა ალექსანდრე მასში მოუნათლავთ.

1924 წლიდან ეკლესიამ ყველა ის ქარტეხილი გამოიარა, რაც ციხე-სასახლემ და ქვეყანამ. ბოლშევიკებმა დაანგრიეს სამრეკლო, ძირს დასცეს ჯვარი და ზარი; უმოწყალოდ გაძარცვეს უფლის სახლი; ეს არ აკმარეს — კომუნის წევრებისთვის სასადილო ადგილად აქციეს. კომუნის დაშლის შემდეგ, კოლმეურნეობის დროს ეკლესიაში პურს აცხობდნენ, მერე საწყობად იყენებდნენ.

გასული საუკუნის 70-ანი წლების ბოლოს მწერალთა კავშირისა და პირადად ბატონი გიორგი ხორგუაშვილის დაუღალავი მცდელობით გადაწყდა სასახლის აღდგენა.

1980-1985 წლებში ძეგლთა დაცვის მიერ რესტავრირებულ იქნა კომპლექსის ნაწილი, კერძოდ, სასახლე და შიდა გალავანი; აღსადგენი დარჩა დანარჩენი ნაგებობანი: ეკლესია, მარანი, ისტორიული თავლა, გარე გალავანი, წისქვილი (სამწუხაროდ, დღესაც ასეა).

ამაგძიერნუკანელი ძაძუოლიანელი ანუ ორბელიანები ლამისყანაში

(ეკატერინეა)

ლამისყანელებს ეროდან ქართველ-ორბელიანებმა ჯამბაკურ-ორბელიანთა ოჯახს, მაგრამ XX-ის 20-ან წლებში ეოფლობენ ორ სოფელს და ორბელიანთა ფიზიკურ ადგილზეა ფარნა... 1924 წელს ორბელიანები ოჯაზეულნი ეოფლენ ეოფლენ ეოფლენ

თბილისში სამუსიკო სკოლას მაესტროს სახელი მიენიჭა

წლევანდელ შუა ოქტომბერში ქ. თბილისში, საუკუნოვანი ისტორიის მქონე "არტოს ბაღში" ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საკონცერტო დარბაზში, გაიმართა იქ არსებული ქართული ხალხური საკრავიერი მუსიკის სკოლისათვის ცნობილი მუსიკოს-შემსრულებლის, ჭეშმარიტი სახალხო მაესტროს – ომარ კელაპტრიშვილის – სახელდება.

აი, კიდევ ერთი აღიარების ფაქტთან დაკავშირებით მოეწყო საქართველოს მასშტაბით მოქმედი კულტურულ-სახელოვნებო აკადემიური და თვითმოქმედი ანსამბლების რეზონანსული საკონცერტო ღონისძიება. ეს გახლდათ ახლად "დაბადებული", თუმცა უკვე გამოცდილი – აწ "ომარ კელაპტრიშვილის სახელობის ქართული ხალხური საკრავიერი მუსიკის სკოლის" წარდგინება. თვითონ მთლიანი ღონისძიება, ერთის მხრივ, გამოდგა სრულყოფილი პრეზენტაცია და, მეორეს მხრივ, მასში მონაწილე მხატვრული კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების გამომსახველობითი ოსტატობის მორიგი წარმოჩენის საშუალებაცა და თავისთავადი დათვალიერებაც.

დიდი მაესტროს მშობლიური მხრიდან – კასპის მუნიციპალიტეტიდან – თავიანთი სასიმღერო-სამუსიკო საშემსრულებლო ოსტატობა წარმოადგინეს: სოფელ კავთისხევის კლუბთან არსებულმა საბავშვო ანსამბლმა "კავთურამ" (ხელმძღვანელი ნანა შალიტაური), ქალაქ კასპის ქალ-მომღერალთა ანსამბლმა "კაბადონმა" (ხელმძღვანელი ლალი კალატოზიშვილი), ქალაქ კასპის ვაჟ-მომღერალთა ანსამბლმა "მოურავმა" (ხელმძღვანელი რევაზ კერესელიძე).

საკონცერტო პროგრამა გახსნეს მასპინძელმა კოლექტივებმა: აკადემიურმა და სახელოვანმა ანსამბლმა "რუსთავმა" (სამხატვრო ხელმძღვანელი დავით შანიძე) და მისივე ვაჟთა ტრიომ (სოლისტი თორნიკე არჩვაძე). აი, დახურვის პატივი კი წილად ხვდა ქართული მუსიკალურობის ხვალინდელობის იმედს – ანსამბლ "მართვეს" – დიდებული "მრავალჟამიერის" ზედამღერებით. საპრეზენტაციო კონცერტში, ასევე, მონაწილეობდნენ:

ქალთა ანსამბლი "კელაპტარი" (ხელმძღვანელი დავით ქავთარაძე, სოლისტი ლელა თათარაიძე) – კოლექტივი, რომელიც თავის დროზე, ჩამოაყალიბა სწორედ ომარ კელაპტრიშვილმა "იავნანას" სახელით საქართველოს იმჟამინდელ ტელე-რადიოკომიტეტთან და ახალი სახელი კი ეწოდა მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად; ასევე, ქალთა კვარტეტი "კესანე" და ვაჟთა კვინტეტი "ურმული".

ომარ კელაპტრიშვილის ცხოვრებისა და მუსიკალური საქმიანობა-მოღვაწეობის შესახებ მოგონებებით გამოვიდნენ: ქართული სიმღერის დიდი მოამაგე თემურ ჭკუასელი, მუსიკისმცოდნე მანანა ხვედელიძე, პოეტი ერეკლე საღლიანი, აწ განსვენებული ანზორ ერქომაიშვილის მეუღლე ლალი სეთურიძე, კელაპტრიშვილთა ოჯახის ახლობელი გია კობახიძე, ხელოვანი და დოკუმენტალისტი თემურ ხუციშვილი.

სამადლობელი სიტყვით გამოვიდა ქალბატონი ნათელა (ციმი) კელაპტრიშვილი – დიდი მაესტროს, ომარ კელაპტრიშვილის, მეუღლე.

საკონცერტო ღონისძიებას უძღვებოდა ანსამბლ "მართვეს" სამხატვრო ხელმძღვანელი მიშო ჯავახიშვილი – ზემოაღნიშნული სკოლისათვის სახელდების ერთ-ერთი უშუალო ინიციატორი (აქვე შევნიშნავთ, რომ სკოლა დაფუძნდა სწორედ "მართვეს" ბაზაზე).

ამირან ტალახაძე.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების გაერთიანება

როგორ აღდგა ერისთავ-ორბელიანთა ციხე-სასახლის კარის ეკლესია

(დასასრული. დასაწყ. იხ. გვ-4.)

2007-2008 წლებში აღადგინა წმ. გიორგის ეკლესია. ყოველი დღის ამბები ჩაწერილი გვაქვს. ვრცელი საუბრის თემაა ზარისა და ჯვრის აღმართვა, შელესვა თუ მოხატვა, ეკლესიისათვის ყველა საჭირო წიგნისა თუ ნივთის შეძენა (იმედი გვაქვს, მუზეუმის რომელიმე თანამშრომელი ყველაფერ ამას თავს მოუყრის და ეკლესიის ისტორიას ცალკე წიგნად გამოსცემს).

2008 წლის ოქტომბრის დასაწყისში, ეკლესია ჯერ ისევ ხარაჩოებში რომ იყო, სოფელში მღვდელი ანდრია მიდოდაშვილი მობრძანდა და თითქმის 90-წლიანი დუმილის შემდეგ ეკლესიის ზარის ხმა მოეფინა სოფელს – განახლდა ღვთისმსახურება. მაშინ ექვსი წელი იმსახურა მამა ანდრიამ ლამისყანაში. იგი 2013 წელს მღვდელმა მამა ლევან ჯიქურმა შეცვალა. მისი ათწლიანი ღვაწლისთვის მადლიერია მრევლის ყველა წევრი.

მიმდინარე წელს სოფელს კვლავ მამა ანდრია დაუბრუნდა მაღალღირსი მღვდლის წოდებით და აგრძელებს მსახურებას წმ. გიორგის ეკლესიაში.

ეკლესიის ისტორია სოფლის ისტორიის განუყოფელი ნაწილია. დასაწყისში მოგახსენეთ, რომ მწირი ინფორმაცია გვაქვს 1924 წლამდე მოღვაწე სასულიერო პირთა შესახებ. სულ ახლახანს, სოფლის ერთერთ სასაფლაოზე მუზეუმის თანამშრომელმა გიული შიუკაშვილმა მიაკვლია მიწაში ჩამარხულ საფლავის ქვას. გავრეცხეთ, გავასუფთავეთ და ამოვიკითხეთ შემდეგი წარწერა: "ამ ლოდს ქვეშ განისვენებს მღვდელი სვიმონ ზაქარიას ძე ხახუტაშვილი. შობიდან 44 წ. გარდაიცვალა 1906 წ. 12 თიბ."

იქნებ ამ მღვდლის შთამომავლები დღესაც ეძებენ წინაპრის საფლავს. ვფიქრობთ, გამოჩნდება ვინმე დაინტერესებული პირი.

ჩვენ კი, მუზეუმის თანამშრომლები, უკეთესი მომავლის რწმენითა და იმედით, ვაგრძელებთ წარსულის კვლევა-ძიებას.

სოფიო ცუცუნაშვილი-ფავლენიშვილი,
14 გიორგობისთვე, 2024 წ.

ჭიდაობა უნდა ეგეთი, რომ იციან იგოეთში

2024 წლის "ღვთისმშობლობის" საეკლესიო-სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით სოფელ იგოეთში მეორედ ჩატარდა სასოფლო ღია პირველობა. ჩემპიონობა ირგუნა სტუმარმა მოჭიდავემ — კუმისელმა (გარდაბნის მუნიციპალიტეტი) ნიკოლოზ ზაალიშვილმა.

"სტუმარი მასპინძლის ღხინიაო" — ქართული ანდაზაა ასეთი, გაგეგონებათ. ჰოდა, სტუმარი ეგეთი უნდა, ეს 18 წლის ჯეილი რომ გამოდგა... მაგრამ სანამ მას უფრო ახლოს გაგაცნობთ, იმასაც გეტყვით, რომ ქართული ჭიდაობა სწორედ ეგეთი უნდა, იგოეთში რომ გაჩაღდება ხოლმე. მეორეაო, ზემოთ ითქვა და, ბარემ, იმასაც გავიხსენებთ, რომ შარშანდელი, ანალოგიური პირველობის გამარჯვებულის სახელიცა და საჩემპიონო ჯილდოებიც (თასი, მედალი, დიპლომა და ზედაც ტრადიციული ყოჩი!) დაინარჩუნა ჩვენებურმა ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ცნობილმა მოჭიდავემ — ირაკლი დემეტრაშვილმა.

ახალგაჩემპიონებული ვაჟიშვილის წარმატება მივულოცეთ გახარებულ მამას — ივანე ზაალიშვილს. მან კი კმაყოფილებით გვაუწყა ამბავი და სამადლობელიც არ დაიშურა:

— ჩემი მამა-პაპათაგან გამიგონია, რომ კუმისელი ზაალიშვილები, აი, აქედან, სოფელ იგოეთიდან გადასახლებულან. ის კი აღარ ვიცი, საამისო მოტივი რა ჰქონიათ გვარის წინაპრებს. ასე რომ, ახლა ჩვენ იგოეთელებად მიგვაჩნია ჩვენი თავი. დიახ, იგოეთში საჭიდაოდ რომ მოვდიოდით, ნიკუშას ვუთხარი, — შვილო, ჩვენ იგოეთელებისა და იქაური მიწა-წყლის ვალი გვადევს. მოდი, წავიდეთ და გამარჯვებას შევეცადოთ, რადგანაც მას სიმბოლურად ორმაგი დატვირთვა ექნება: ჩვენც კმაყოფილი დავრჩებით და იქაურებიც, ისინი ნამდვილად გაიხარებენ და იამაყებენ!

... ასეა, ბატონო ვანო! ნამდვილად რომ ეგრეა! დასტურ, ამდაგვარ გამარჯვებას ჰქვია "სისხლის ყივილი". საგვარეულო ჯიშის, გენის, მოდგმის, საშენის ეროვნული თვალსაზრისით გაჯერებული მოვალეობა როცა მხრებით მოგვაქვს ქართველობას, ისტორიულ ქარტეხილებში გამოტარებულ გრძელ გზასავალზე.

... იგოეთური წლევანდელი მძიმეწონოსანთა საფალავნო ჯახის ვიცე-ჩემპიონობა წილად ხვდა ქარელელ ლუკა ნოზაძეს (კიდევ ერთ სტუმარ სპორტსმენს), ხოლო მესამე ადგილზე გავიდა კასპელი დავით ნინიკაშვილი (ვინც მანამდე მეორე იყო "ოთხმოციანთა" წონით კატეგორიაში).

(სურათზე: "დიდ სამეულს" ჯილდოები გადასცა კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ).

გუნდური პირველობა მეტეხში

"შიდა ქართლის სპორტული თამაშები — 24"-ის პროგრამით

შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებული სპორტული თამაშები — 2024-ის პროგრამით გათვალისწინებული რეგიონული გუნდური პირველობა სოფელ მეტეხში გაიმართა იოსებ მაღალაშვილის სახელობის ღია საჭიდაო არენაზე.

გაგაცნობთ პირველობის გამარჯვებულმა). (ჩვენი შენიშვნა: სპორტსმენებმა იასპარეზეს, შესაბამისად, ოთხ წონით კატეგორიაში — 75, 85, 95 დ +95 კილოგრამი). პირველობის შედეგებით მე-2 საპრიზო ადგილი წილად ხვდა ქარელის გუნდს "ხაბარელი", ხოლო მე-3 — გორის პირველ ნაკრებს (სულ გამოდიოდა 6 გუნდი: კასპიდან, ხაშურიდან და 2-2 — ქარელიდანა და გორიდან). ჩემპიონ-პრიზიორები დააჯილდოვეს: კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ და ცნობილმა ვეტერანმა მოჭიდავეებმა, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონებმა და ფალავნებმა: იოსებ მაღალაშვილმა, ჯემალ მჭედლიშვილმა და თემურ ხუბულურმა.

ლი გუნდის — "კასპის" ნაკრები გუნდის შემადგენლობას: ერეკლე ოძელაშვილი, გიორგი კაციაშვილი, მიხეილ ნოზაძე და ირაკლი დემეტრაშვილი (გუნდი პირველობისათვის დააკომპლექტა და მოამზადა იოსებ მამულაშვილ-

(სურათზე: შიდაქართლელი საქართველოს ფალავნები (მარცხნიდან მარჯვნივ) — პაატა ღვინიაშვილი (რუისი, ქარელი), — 2013 და 2015 წლები, გიორგი კაციაშვილი (ქვემო გომი, კასპი) — 2016, ჯემალ მჭედლიშვილი (ზემო ხვედურეთი, ქარელი) — 1985 და 1986, ოთარ ყურაშვილი (ხოვლე, კასპი) — 1973 და 1975, დავით ხოდელი (აღაიანი, კასპი) — 1985 და 1987 წლების ვიცე-ფალავანი, თემურ ხუბულური (სკრა, გორი) — 1976 წელი).

ყაზახურ-ასტანური მედლების გზამ კასპზე გ ა ი ა რ ა

მიიწურა კალენდარული წელიწადი. განვლილი წლის 11-თვიან მონაკვეთში არაერთ სასპორტო ღონისძიებას უმასპინძლა კასპის სპორტკომპლექსის მთავარმა სპორტდარბაზმა, თანაც, სპორტის სხვადასხვა სახეობაში — კალათბურთში, ჭიდაობაში, კარატეში, კიკბოქსინგში, ჭადრაკში... ამასთან, სხვადასხვა რანგისას —საქალაქოს, მუნიციპალურს, რეგიონულს, რესპუბლიკურს.

მათგან ყველაზე მაღალი რანგისა გამოდგა ერთი — 2024 წლის საქართველოს თასის გათამაშება ჭიდაობა სამბოში. იგი გაიმართა საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაციის ეგიდით. საერთო სპორტული დონე როდი დაეწუნებოდა, კასპში საასპარეზოდ მოაშურა ყველა ნაცადმა სამბოელმა, ვისაც მსოფლიო ჩემპიონობის ტიტულები უმძიმებდა ზურგს, დღეს რომ მოიაზრებიან ეროვნული ნაკრების პირველ ნომრებად და ისეთებიც, სახვალიო ესტაფეტა რომ უნდა მიიღონ და, პარალელურად, ვეტერანებს ჩაენაცვლონ.

დიახ, წლევანდელი 5 ოქტომბრის რესპუბლიკური პირველობის პრესტიჟულობას ისიც განაპირობებდა, რომ მასში გამარჯვებულები ეუფლებოდნენ პირდაპირ მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების საგზურებს, არა, როგორც კონკრეტული დოკუმენტი, ასეთი სახისა არ არსებობდა, მაგრამ თვითონ შეჯიბრება იყო შერჩევითი ხასიათისა: გაიმარჯვებ? — ხდები წონის პირველი ნომერი და ნაკრების შემადგენლობაში იკავებ კუთვნილ ადგილს! ანუ, გადიხარ ერთთვიან მზადებას და ნოემბრის დასაწყისში იასპარეზებ მსოფლიო პირველობაზე!

აი, ისინი, ვინც კასპში დაიბევა მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლის უფლება, ანუ "საქართველოს თასი — 24"-ის მფლობელები: ვახტანგ ჩიდრაშვილი — მსოფლიო 6-გზის ჩემპიონი და მხოლოდ ერთგზის ვიცე-ჩემპიონი (58 კილოგრამის კატეგორია), ავთო მუკბანიანი (69), ელიზბარ (ჯაბა) თურქია (71), ლუკა წიქვაძე (79), მიხეილ ნოზაძე (88), უშანგი მარგიანი (98) და გიორგი ქავთარაძე (მძიმე წონა).

შემთხვევითი არ იყო, რომ გამარჯვებულთა ვინაობის გამოვლენა-დადგენა ყველაზე მეტად ვის ინტერესებში შედიოდა — საქართველოს სამბოს ეროვნული ნაკრების ახალი თავკაცობისა! შეგახსენებთ, რომ ფედერაციას 2024 წლის მარტიდან სათავეში ჩაუდგა ქართული სამბოს წრეში კარგად ნაცადი და ჩახედული პიროვნება — გია გაზდელიანი. წელს იგი კასპში უკვე მეორედ სტუმრობდა (პირველად სექტემბერში, ვანო გამხიტაშვილის ხსოვნის მემორიალზე, რომელიც ასევე, შერჩევითი ხასიათისა იყო ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრებების დაკომპლექტების მიზნით, კვიპროსის ქ. ლარნაკაში მსოფლიო პირველობაზე გამოსვლის წინ) და პირადად მონაწილეობდა ახალჩემპიონთა დაჯილდოების მისიაში.

ბატონმა გია გაზდელიანმა "ახალი განთიადის" კორესპონდენტთან ისაუბრა ფედერაციის სათავეში მოსული თავისი გუნდის ახლებურ მიდგომებსა და ამოცანებზე, რეგიონებში სამბოს ჯგუფების ხელშეწყობაზე ... ბოლოს კი იმედი გამოთქვა, — ყაზახეთის დედაქალაქ ასტანიდან ჩვენი ბიჭები უმედლებოდ არ დაბრუნდებიანო!

ისე აგსრულებოდეთ ყველა კარგი ჩანაფიქრი, ჩვენო მკითხველო, როგორც პრეზიდენტ გაზდელიანს გაუმართლა:

საქართველოს სამბოს ნაკრების წევრებმა ასტანაში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატის სამი დღის მანძილზე (8-9-10 ნოემბერი) 5 მედალი მოიპოვეს: ოქროსი — ელიზბარ (ჯაბა) თურქიამ, ვერცხლისა — ვახტანგ ჩიდრაშვილმა (მერვე მსოფლიო ჩემპიონატებზე: 6 + 2), ხოლო ბრინჯაოსი — მიხეილ ნოზაძემ, დავით ლორიაშვილმა და გიორგი ქავთარაძემ.

(პ. ს: ოქროსმედალოსანი ელიზბარ თურქია ვაჟიშვილია, ასევე, ევროპის ჩემპიონისა სამბოში ფოთელი თეიმურაზ თურქიასი, რომელმაც ეს წოდება 33 წლის წინ მოიპოვა ტურინში. ესეც უანალოგო ფაქტი მსოფლიო სამბოს ისტორიაში — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი მამაშვილი!).

ვემშვიდობებით ლოტბარს

ვემშვიდობებით კასპის ანსამბლ "მოურავის" ყოფილ ხელმძღვანელს, ცნობილ ლოტბარსა და დირიჟორს, საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გივი ბახტაძეს.

გივი ბახტაძე დაიბადა 1939 წლის 11 ივლისს ქ. თბილისში. სწავლობდა თბილისის ვაჟთა მე-14 სკოლაში. სკოლაშივე გამორჩეული იყო - მეექვსეკლასელი ბიჭი სკოლის სიმღერის გუნდს ხელმძღვანელობდა და მუსიკოსობა დაუოკებელ სწრაფვად ექცა.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ს. ზაქარიაძის სახელობის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის მუსიკალურ განყოფილებაზე ჩაირიცხა, მერე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდოსადირიჟორო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა (ცნობილი დირიჟორის, პროფესორ ვახტანგ ფალიაშვილის კლასში).

1966 წელს მთელი საქართველო შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილესათვის ემზადებოდა. მათ შორის მუსიკალური საზოგადოებაც.

ლატვიიდან ჩამოვიდა ცნობილი დირიჟორი იან დუმინი, რომელმაც სტუდენტებისაგან გ. ბახტაძე შეარჩია თავის ასისტენტად... მაშინ მეოთხე კურსზე სწავლობდა. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში დირიჟორი და სტუდენტი ამზადებდნენ მუსორსკის "ბორის გოდუნოვს", ფალიაშვილის "აბესალომ და ეთერის", მშველიძის "ამბავი ტარიელისა" და "დიდოსტატის მარჯვენას", ბიზეს "კარმენს".

- ეს იყო ნამდვილი შემოქმედებითი ცხოვრება.... აღარაფერი, გარდა ამ ოპერების პარტიტურებისა, აღარ მახსოვდა. იან დუმინი - დიდებული მუსიკოსი და ბრწყინვალე პიროვნება, მუდამ ჩემს გვერდით იყო - იგონებდა ბატონი გივი.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სტაჟირებაზე მოსკოვის კონსერვატორიაში გაიგზავნა პროფესორ ლ. გინზბურგთან.

მოსკოვის კონსერვატორიის ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, ახალგაზრდა დირიჟორი დაბრუნდა საქართველოში დიდი ცოდნით, ენთუზიაზმით, იმედებითა და ბევრი საქმის კეთების სურვილით.

გივი ბახტაძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ჩატარდა ბავშვთა პირველი რესპუბლიკური მუსიკალური კვირეული (1973-1974 წლებში), ვოკალურ-ინსტრუმენტული კოლექტივების პირველი რესპუბლიკური დათვალიერება და სხვა მრავალი.

1976 წელს გივი ბახტაძემ ტყიბულში ჩამოაყალიბა მომღერალთა გუნდი. მან მიზნად დაისახა მეშახტეების, მძღოლების, ბუღალტრებისა და სხვა მრავალი პროფესიის (მხოლოდ არამომღერლების) ადამიანებისაგან შეექმნა გუნდი, რომელიც პროფესიულ კოლექტივებს გაუტოლდებოდა.

1977 წელს თვითმოქმედი კოლექტივების რესპუბლიკურ და საკავშირო ფესტივალებში უდიდეს წარმატებას მიაღწია ტყიბულის მომღერალთა გუნდმა, რომელმაც იმავე წელს მონაწილეობა მიიღო ტალინში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც მსოფლიოს 33 ქვეყნის გუნდი მონაწილეობდა, მთავარი პრიზი კი ტყიბულელებს ერგოთ. და რაც მთავარია, ტყიბულის გუნდი აკადემიურ გუნდად იქნა აღიარებული - ეს იყო ერთ-ერთი პირველი შემთხვევა, როცა უმაღლეს აღიარებას ხალხური თვითმოქმედების გუნდი იმსახურებდა.

1978 წელს გ. ბახტაძემ კასპში ჩამოაყალიბა მომღერალთა გუნდი. 1979 წელს გაიმართა მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადა, სადაც პირველი ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდნენ კასპის სარაიონო კულტურის სახლისა და ტყიბულის კულტურის სასახლის მომღერალთა აკადემიური გუნდები, რომელთა ხელმძღვანელიც გივი ბახტაძე გახლდათ.

მიღწეულ წარმატებათა გამო, 1980 წელს გივი ბახტაძეს "საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდება მიენიჭა.

1980 წლის მაისში, მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების ოლიმპიადებზე გამარჯვებული გუნდებისა და კოლექტივების დათვალიერება-ფესტივალი "ხალხთა მეგობრობა", საქართველოდან წარმოდგენილი იყო რამდენიმე კოლექტივი და შემსრულებელი.

ჟიურის გადაწყვეტილებით პირველი ადგილი და ოქროს მედალი კასპის ანსამბლს ხვდა წილად. მაშინდელმა საკავშირო ცენტრალურმა ტელევიზიამ კასპელ მომღერალთა გუნდის რამდენიმე სიმღერა ჩაწერა, რაც გუნდის მაღალ საშემსრულებლო დონეზე მეტყველებდა.

მას შემდეგ ანსამბლი მონაწილეობას იღებდა რესპუბლიკის მასშტაბით გამართულ მრავალ ღონისძიებაში და მნიშვნელოვანი წარმატებითაც. ანსამბლმა 1991 წლამდე იარსება. საქართველოში შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა, საყოველთაო გაჭირვებამ ამ გუნდზეც იმოქმედა და არსებობა შეწყვიტა.

გივი ბახტაძეს მუშაობა არ შეუჩერებია და ის მომავალი თაობების აღზრდას ემსახურებოდა.

2007 წელს კვლავ აღდგა კასპის მომღერალთა გუნდი, რომელსაც "მოურავი" ეწოდა. გივი ბახტაძე გუნდს რამდენიმე წელი ხელმძღვანელობდა.

სიმართლის წილ უნდა ვაღიაროთ, ბატონი გივი იყო მართლაც უდიდესი პროფესიონალი, უნიჭიერესი, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი. მან თავისი კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში.

კასპის მუნიციპალიტეტის ხალხური სიმღერის ვაჟთა ანსამბლი "მოურავი."

მალხაზ კუმლაძისა და გოჩა მამულაშვილის ხსოვნის მემორიალი

ეს შეჯიბრება გახლდათ პატივგება და სულთმოფენობა, გახსენება და სულთათანა სოფლის უბეში გამოზრდილი კაი ყმებისა.

მეტეხელებმა, დედამტკვრისპირა სოფლის მოსახლეობამ, ტრადიციული წესისამებრ, გაიხსენეს საკუთარი სამოსახლო წიაღიდან წარმოშობილი და საჭიდაო არენებზე აფრენილი სახელოვანი სპორტსმენი შვილები: გოჩა მამულაშვილი (09.10.1953 – 07.10.2017) და მალხაზ კუმლაძე (09.10.1984 – 21.06.2007).

ქართულ სოფელს, ზოგადად, მეხსიერების დიდი და კეთილი გული აქვს. მას თავისი მასახელებელი და მაამაყებელი შვილებისათვის "ხსოვნის სკივრში" მიუჩენია გამორჩეული ადგილი. აი, კონკრეტულად კი, სწორედ ამისი დადასტურება გახლდათ 2024 წლის 9 ოქტომბერს ჩატარებული მეტეხური მემორიალური ტურნირიც. აქაურებმა ესენი ხომ გაიხსენეს კიდევ ერთხელ და სულები უცხონეს ნახერხიან წრეში გაჩაღებული ფიცხელი და შეუპოვარი წყვილების ჯახსა და ბრკენაში თავჩენილებს, და, ამასთანავე, სხვებიც მოიხსენიეს და მათი სახელობითაც დააწესეს პრიზები და ფულადი ჯილდოები, მერე კი ყველას სახელები მოიხსენიეს პურადობის სუფრასთან, როცა ჭიქა წაუქციეს პურისსმევისას...

უშუალოდ საჭიდ(ილ)აო ასპარეზობას რაც შეეხება, სათანადო და საჭირო საქმენი გარიგდა და განეწყო მეტეხელი ახალგაზრდების მცდელობით, სოფლის თავკაცთა თანადგომით, მემორიალის ადრესატთა ოჯახების წევრთა ჩართულობითა და მათი მეგობრების შეხიდებით, მუნიციპალური სპორტის სამსახურის მუშაკთა მხარდაჭერით... ცხადია, სტუმრიანობის წვევითა და ორმხრივი მადლიერების გამოხატვით, დალოცვით...

... და, როცა იტყვიან, – ჭიდაობას რა უნდაო? – აი, ასეთ საჭიდაო აქტივობას უნდა დაესწრონ თუნდაც ამ ერთი სოფლის მაგალითზე და მაშინ გაცხადდება ისიც, რა და ვინ უნდა ქართულ ჭიდაობას!

ახლა კი წარმოგიდგენთ მემორიალური ტურნირის საპატიო კვარცხლბეკს (წონითი კატეგორიების მიხედვით):

60 კილოგრამი: იაკობ გასიტაშვილი (ქარელი), გიორგი ფეიქრიშვილი (ზემო ხანდაკი) და გიორგი ჩანქსელიანი (ლენტეხი);

70: გიორგი მასურაშვილი (ქარელი), საბა არავიაშვილი (ქარელი) და ტრისტან ფეიქრიშვილი (ზემო ხანდაკი);

80: ზურაბ ჭიღლაძე (დოესი), სოსო ჟივიძე (მეტეხი) და კობა აკოფაშვილი (გორი);

90 კილოგრამი: გიორგი პაპუნაშვილი (გორი), დავით ნინიკაშვილი (მეტეხი) და გიგი ბერუაშვილი (გორი).

ტურნირის საერთო საპრიზო ფონდის ფარგლებში, ფულადი ჯილდოების გარდა, გათამაშდა:

60 კილოგრამში – ტარიელ გეჯაძის სახელობის თასი (გამარჯვებულს გადასცა ვაჟიშვილმა გიორგი გეჯაძემ; 70-

დასასრული იხ. გვ.8.

ამერიკის 47-ე პრეზიდენტი

როგორ გავმდიდრდეთ

მე დავწერე წიგნი, რომელიც 2004 წელს გამოიცა და სათაურად მივეცი "როგორ გავმდიდრდეთ". კარგად მახსოვს მე და რედაქტორი როგორ ვარჩევდით გრძელი სიიდან შესაფერის დასათაურებას. რამდენჯერმე განვიხილეთ ვარიანტები, გვინდოდა მიგვეგნო მახვილგონივრული და თვალშისაცემი დასათაურებისათვის. ბოლოს ვთქვი: "ყველას სურვილია გაიგოს, როგორ უნდა გამდიდრდეს და რატომ არ დავარქვათ ამ წიგნს "როგორ გავმდიდრდეთ?" მგონი უფრო ზუსტად თქმა არ შეიძლება. მე, როგორც მკითხველს, მომეწონა ეს სახელწოდება, და ამაზეც შევჩერდით.

გამდიდრება ყოველთვის იოლი როდია. მე მუდამ ხაზგასმით აღვნიშნავდი და მომავალშიც აღვნიშნავ საქმისადმი სიყვარულის მნიშვნელობას. თუ იმას ფიქრობთ, რომ მიზანი ფულია, დამიჯერეთ, თავს იტყუებთ. ფულისკენ მიმავალი გზა ქანცს გაგაცლით. გატაცება და სიყვარული კი ენერგიის არაჩვეულებრივი წყაროა, მას შეუძლია დაგეხმაროთ მძიმე დღეების გადალახვაში – ისინი კი აუცილებლად შეგხვდებათ, ამიტომ სიმდიდრისთვის მოსამზადებელი პირველი ნაბიჯი იქნება იმის დადგენა, თუ რა მოგწონთ ზედმიწევნით და უპირობოდ.

შეიძლება ჯერ არც იცით, რა საქმეს მოეკიდოთ. არაფერია, კომპასი მომართეთ თქვენი საქმის მოსაძებნად, და უფრო მოსალოდნელია, რომ მას მიაგნებთ. მანამდე ეცადეთ, რაც შეიძლება მეტი ისწავლოთ და შეიტყოთ ბიზნესის სულ სხვადასხვა სფეროებზე. ცოდნა არასოდეს ყოფილა ზედმეტი.

ზოგჯერ სიფრთხილეს რისკი ახლავს. მომზადებასა და ორგანიზებას შეუძლია რისკის ელემენტის შემცირება, რისკი ხშირად თან ახლავს სიმდიდრისკენ მიმავალ გზას. ყველაფრის მომზადება და სამუშაო ვითარების მზადყოფნაში მოყვანა ნიშნავს – თავი საიმედოდ დაიზღვიოთ. ყველაზე კარგი საშუალებაა – გამოწვლილვით იცოდეთ თქვენი საქმე, საუკეთესო სპეციალისტებს ყველაფერი ყოველთვის კონტროლზე აქვთ. თქმა ადვილია, შესრულება კი ძნელი, მაგრამ ამ უნარების შეძენა ყველას შეუძლია.

ოსტატობა დროის ეფექტურ გამოყენებას გულისხმობს. ისწავლეთ, თავს კონტროლი გაუწიოთ ამა თუ იმ ქმედებაზე დახარჯული დროის თვალსაზრისით. დროში შეზღუდვა შეიძლება კარგ საშუალებად იქცეს და ტვინს უბიძგოს სამუშაოს ოპტიმალური ტემპისაკენ. წაკითხული მაქვს ერთ სამონაზვნო ორდენზე, რომელშიც თითოეული საქმის შესრულებისათვის გამოყოფილი იყო მკაცრად განსაზღვრული დრო. დროის გასვლისას რეკავდა ზარი, მონაზვნები წყვეტდნენ მუშაობას და იწყებდნენ შემდეგ საქმეს. მსგავსი დისციპლინის შექმნა და დაცვა კარგი საშუალებაა, თავიდან ავიცილოთ დროის გაუმართლებელი ხარჯვა. ერთხელ ერთ რედაქტორთან ვმუშაობდი, რომელიც ჩემთან კაბინეტში საუბრის შემდეგ გამომიტყდა – სასწრაფოდ ჟანგბადი მჭირდებაო. იგი შეჩვეული არ იყო ასეთი ტემპით მუშაობას და მე მგონი რაღაც-რაღაცეები გაიგო დროის ეკონომიის თაობაზე.

მაშ ასე, შევაჯამოთ: თუ გამდიდრება გინდათ, დაიხსომეთ ორი მნიშვნელოვანი რამ – საქმის სიყვარული და დროის ეფექტური ხარჯვა. გიყვარდეთ ის საქმე, რასაც აკეთებთ და დროს ნუ დაკარგავთ. მე ეს დამეხმარა.

ყველაფერი დოლარებითა და ცენტებით არ ფასდება, თუმცა ბევრ შემთხვევაში ზუსტად ასე უნდა იყოს. ეძებეთ ამოუხსნელი – ამით გაიმდიდრებთ ცხოვრებასაც და ბიზნესსაც.

მე ბიზნესმენი ვარ და ამიტომ ვხვდები, რომ "ვისაც ბევრი ეძლევა, ბევრიც მოეთხოვება". ჩათვალეთ, რომ თქვენ უკვე ბევრი გაქვთ, იყავით პატიოსანი და შეუპოვარი. ეს ყველაზე კარგი საშუალებაა წარმატებისკენ გზის გასაკაფად, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით.

"მშვიდობიანი ხასიათით წინათ ქართლელები სჯობდნენ კახელებსაც და იმერლებსაც. ამის მიზეზი ჯერ ის იყო, რომ ქართლს შუაგული ადგილი უჭირავს საქართველოში და მცხოვრებლებზე სხვადასხვა ველურ ხალხებს გავლენა ნაკლებად ჰქონდათ. მეორე მიზეზი ხვნა-თესვის მიდევნაა. ხვნა-თესვა ყველა საქმეზე მშვიდობიანი და ალალი საქმეა. აქ არავითარი ადგილი არა აქვს მოყვასის მოტყუებას, რაიც ჩვეულებად გადაჰქცევია აღებ-მიცემის ხალხს. თუ გლეხი მუყაითად გაირჯება და ღმერთიც ამინდს მისცემს, კარგი მოსავალი მოუვა, თუ არადა, ნათესი მოუცდება. საკუთარი მარჯვენა და ღვთის ნება – აი ერთადერთი იმედი მხვნელ-მთესველისა, ამიტომ ხვნა-თესვა ხალხს წყნარის თვისებებისას ჰხდის და ძლიერ კარგი გავლენა აქვს ზნეობაზე. ამის გამო ერთმანეთის მტრობა, შფოთი და შური ქართლელებში უფრო იშვიათი იყო, ვიდრე სხვა ჩვენებურს მცხოვრებლებში. ოღონდ კი ქართლელს წმინდა სინდისი ჰქონოდა, თავისი თავი პატიოსან კაცად ეცნო, თორემ სხვისას მაგდენს არაფერს დაგიდევდა. ქართული ანდაზა: " თუ თავი ჩემი მეგობრად მყავს, ღარიბად არ ვიხსენებიო" სწორედ ქართლელებზე იყო გამოჭრილი ... "

ვახუშტი, "აღწერა სამეფოსა საქართველოსა", ქართლის ცხოვრება ტ. IV, თბილისი, 1973 წ.

სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები

კასპის მუნიციპალიტეტში სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები გრძელდება.

სოფელ ქვემო გომის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ნიაბში ბეტონზე ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაო მიმდინარეობს.

სპორტული მოედნის მშენებლობას მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ მაისურაძე საკრებულოს თავმჯდომარესთან შოთა ბეგლარაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გაეცნო.

მშენებარე სპორტული მოედნის მიმდებარედ მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწყობილი გარე მოხმარების ფიტნეს ტრენაჟორები და ბავშვთა გასართობი სივრცე მდებარეობს.

მუნიციპალიტეტში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება ახალგაზრდებში არა მხოლოდ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და დროის მიზნობრივად გამოყენების ხელშეწყობაა - არამედ სპორტული მიღწევების შესაძლებლობაც.

,,ხალხი გაზეთი,, იძიებს ცვინტერესებთ ყურადღებას რეიტინგს ადგილობრივ თემთ-მესტიანის შეხვედრილ. მოგმართავთ თხოვნით - დაფოვეთ თქვენი ყველი მესტიანეში!

მალხაზ კუმლაძისა და გოჩა მამულაშვილის ხსოვნის მემორიალი

დასასრული დასაწყისი იხ. გვ -7.

ში – მალხაზ კუმლაძის სახელობის თასი (გადასცა ძმამ, ნუკრი კუმლაძემ); 80-ში – გიორგი ბოგველის სახელობის თასი (დააჯილდოვეს ბიძამ, პაატა ბოგველმა და ვეტერანმა მოჭიდავემ ნუგზარ მამულაშვილმა; წონის ფინალისტებმა მიიღეს დამატებითი პრიზებიც: დოესელმა ზურაბ ჭიღლაძემ – თანხა, ხოლო მეტეხელმა სოსო ჟივიძემ – ბატკანი; გადასცა შეჯიბრების ადრესატის ძმამ, სოსო კუმლაძემ); 90-ში გათამაშდა ქართული ჭიდაობის მეცენატისა და ორგანიზატორის, თამაზ გუგულაშვილის სახელობის თასი და ფულადი ჯილდო – 1000 ლარი (დააწესა შვილიშვილმა რეზიკო გუგულაშვილმა, ხოლო გადასცეს მეგობრებმა დათა ბოგველმა და კახი მამულაშვილმა.

ნიშანდობლივი გამოდგა ასეთი ფაქტიც: მძიმეწონოსნებში მეოთხეადგილოსანი მოჭიდავე, თბილისელი ტატო ხუსკივაძე, პრიზიორებთან გაბედული და შეუდრეკელი ჭიდაობისათვის, 200 ლარით წაახალისა ერთმა რიგითმა გულშემატკივარმა, გუდალეთელმა ზვიად ხოკერაშვილმა, რომელიც 9 ოქტომბერს პირადად იყო იუბილარი (49 წელი შეუსრულდა).

... აი, რა და ვინ უნდა და როგორ უხდება ქართულ ჭიდაობას!

redaqciaSi Semosuli werilebi ar recenzirdeba da avtorebs ar ubrundebaT

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა ,,კოლორში,,

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76